



1გ/1537-16



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა საქართველოს სახელით

საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარისთქმის შესახებ
04 ოქტომბერი 2016 წ.

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე
სპარტაკ პავლიაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გორის რაიონული პროკურატურის საჩივარი გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გერმანე დადეშელიანის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ბრალდების მხარის შუამდგომლობა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში 2016 წლის 27 სექტემბერს 01:05-დან 01:20 საათამდე ჩატარებული საგამომიებო მოქმედების შ. რ.-სგან ორ ელექტრონულ დისკზე გადატანილი ვიდეოჩანაწერის ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

შსს გორის რაიონული სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის N011260916002 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 27 სექტემბერს შუამდგომლობით მიმართა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ია მეფარიშვილმა და ითხოვა 2016 წლის 27 სექტემბერს, 01 საათსა და 05 წუთზე შსს გორის რაიონული სამმართველოს დეტექტივ - გამომძიებელ მ. ბ.-ს მიერ, გადაუდებელი აუცილებლობით, ქ. თ.-ში ს.-ს NXX/XX-ში, რადიო თ.-ს ოფისში, შ. რ.-სგან ვიდეო ჩანაწერის ორი დისკის- ამოღების კანონიერად ცნობა.

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გერმანე დადეშელიანის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ბრალდების მხარის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და ამოღებული ვიდეოჩანაწერი ცნობილი იქნა დაუშვებელ მტკიცებულებად.



ბრალდების მხარემ საჩივრით მოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გერმანე დადეშქელიანის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინების გაუქმება და 2016 წლის 27 სექტემბრის 01 საათსა და 05 წუთზე, შსს გორის რაიონული სასამართლოს დეტექტივ გამომძიებელ მ. ბ.-ს მიერ გადაუდებელი აუცილებლობით, ქ. თ.-ში ს.-ს XX/XX-ში, რადიო თ.-ს ოფისში შ. რ.-საგან ვიდეო ჩანაწერის ორი დისკის -ამოღების კანონიერად ცნობა.

ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ გორის რაიონული სასამართლოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები, სასამართლომ არ გამოიკვლია არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები რაც გამოიხატება შემდეგში: მოცემული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გორის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ საქმის მასალებში, წარდგენილი იყო მოწმე შ. რ.-ს გამოკითხვის ოქმი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მას ხელთ ჰქონდა კონფლიქტის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი და თანახმა იყო წარმოედგინა გამომძიებლისათვის. ბრალდების მხარე აღნიშნულთან მიმართებით უთითებს საქართველოს სსსკ-ის 112- ე მუხლის მე-5 ნაწილზე და გამარტავს, რომ იქედან გამომდინარე, რომ დაყოვნებას შეიძლება გამოეწვია გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელს გახდიდა აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ამოღებულ იქნა მოწმე შ. რ.-ს მიერ წარმოდგენილი 2 ცალი DVD დისკი, რომელზეც ჩაწერილი იყო მოწმის განმარტებით კონფლიქტის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი, ამასთან კონკრეტულ მოწმეს კანონი არ ავალდებულებდა ზემოაღნიშნული ვიდეოჩანაწერის შენახვის ვალდებულებას, რაც ბუნებრივია არ გამორიცხავს მისი განადგურების შესაძლებლობას. ასევე ბრალდების მხარე არ იზიარებს სასამართლოს მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა ზემოაღნიშნული ვიდეოჩანაწერის ამოღება მიეკუთვნებოდა ფარულ საგამომძიებო მოქმედებას. ბრალდების მხარე ასევე უთითებს სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველ ნაწილს და ამბობს რომ აღნული შემთხვევა კონკრეტულ სიტუაციაში არ ყოფილა. ვინაიდან სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ ყოფილა მოპოვებული კომპიუტერული სისტემით და არც კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში არ ყოფილა იგი შენახული. ვინაიდან სსსკ-ის მე-3 მუხლის 27-ე და 28-ე ნაწილების თანახმად კომპიუტერული სისტემა განმარტებულია, როგორც ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებული მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს, ხოლო კომპიუტერული მონაცემი, როგორც კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას, არამედ გამოძიებს გადაეცა იგი DVD დისკის სახით. ბრალდების მხარე აღნიშნავს, რომ აღნიშნული DVD დისკი ამოღებულ იქნა, როგორც მოწმის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება და არ შეიძლება ჩაითვალოს საპროცესო კანონის არსებით დარღვევად და მიუთითებს სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომ ამ მუხლის მიზნებისათვის მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაცია, არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მომსახურების მომწოდებელი ინახავს კომპიუტერული მონაცემების ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელიც დაკავშირებულია მისი მომსახურების მომხმარებლებთან. განსხვავდება ინტერნეტტრაფიკისა და შინაარსობრივი მონაცემებისაგან და რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დადგინდეს/



განისაზღვროს : მომხმარებლის ვინაობა, საფოსტო ან საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის და სხვა საკონტაქტო ნომრები, ანგარიშისა და გადასახადების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მოსამსახურის ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე - აღნიშნულ ვიდეოჩანაწერზე არსებული ინფორმაცია არ შეიცავს/ ჩამოთვლილ არცერთ ფაქტს, კერძოდ მოპოვებული ჩანაწერის მიხედვით არ დგინდებოდა მასზე არსებული პირების ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია, ერთადერთი შესაძლოა გამოჩენილიყო დანაშაულის ჩადენის გარემოებები, რაც ისედაც საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს, შესაბამისად ამ მუხლით განსაზღვრული განჩინების ამოღების საფუძველი სისხლის სამართლის საქმეზე არ ყოფილა.

საქართველოს სსსკ-ის 23-ე მუხლის მე- ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად გამომძიებელი უფლებამოსილია: გამოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების, აგრეთვე რევიზიის, ინვენტარიზაციის, საუწყებო შემოწმების ჩატარება და დოკუმენტის წარდგენა; ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამომძიებელმა ისარგებლა სსსკ-ით მინიჭებული უფლებამოსილებით და მან მოწმის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ამოიღო კანონით დადგენილი წესით, რომელიც მას გადაეცა ნებაყოფლობით. აღნიშნულიდან გამომდინარე DVD დისკი გამომძიებლის მიერ მოპოვებულ იქნა სსსკ-ის მოთხოვნათა დაცვით. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ საქართველოს სსსკ-ის 143³-ე მუხლის შესაბამისად ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გამოძიება დაწყებულია ან სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სსსკ-ით განსაზღვრული მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენის გამო. შესაბამისად ფარული საგამოძიებო მოქმედება ვერ ჩატარდებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში. ვინაიდან იგი განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. ბრალდების მხარე თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ დადგენილ პრაქტიკასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ აქცენტის გაკეთება იმასთან დაკავშირებით, რომ კანონი თითქოსდა აძლევს გამოძიებას საშუალებას სსსკ-ის 125-126-ე მუხლების მიხედვით მოიპოვოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ან ჩაატაროს დათვალიერება და დათვალიერდეს ინფორმაციის შემცველი ობიექტი არამართებულია. ვინაიდან სასამართლო ფარულ საგამოძიებო მოქმედებაზე აქცენტს კანონმდებლის მიერ დაწესებული პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის მაღალი სტანდარტის დაწესებით ხსნის რაც აზრს კარგავს საქმეზე საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ მომხდარა. (იხ. ვრცლად საჩივარი).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა საჩივარი, წარმოდგენილი საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი უსაფუძვლოა და ის არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად ამ მუხლის საფუძველზე გამოტანილი სასამართლოს განჩინება საჩივრდება ამ კოდექსის 207-ე მუხლით



გათვალისწინებული წესით. განჩინების გასაჩივრების ვადა აითვლება განჩინების აღსრულებიდან.

იმავე კოდექსის 207-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში მოსამართლე ატარებს ზეპირ მოსმენას ამ კოდექსით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით. მოსამართლე უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს საჩივარი, რომელიც არ შეეხება აღკვეთის ღონისძიების შესახებ განჩინებას.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების, ობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და მხარის არგუმენტები წარმოდგენილია სააპელაციო სასამართლოში იმგვარად, რომ შესაბამისად იქნეს შეფასებული სადაო გარემოებები, რის გამოც არ არსებობს მისი ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ამოღების გადაუდებლობის საფუძველად ოქმში მითითებული იყო გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურების საფრთხე, მაგრამ ამოღებული ვიდეოჩანაწერი გამოკითხულმა პირმა თავად წარუდგინა გამომძიებელს. სასამართლომ განმარტა, რომ ვიდეოჩანაწერი ინახებოდა მის შენახვაზე უფლებამოსილ პირთან - ჟურნალისტ შ. რ.-სთან და გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა სწორედ მის მიერ მასმედიის საშუალებით გამოქვეყნებული ინფორმაცია მის ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ გაუგებარი იყო რა მეტყველებდა მტკიცებულების განადგურების საფრთხეზე, ვინაიდან ამგვარი რამ წარმოდგენილი მასალებიდან არ გამომდინარეობდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვლა, რომ არ არსებობდა საგამომძიებო მოქმედების ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა (გამომძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება და მონაცემების მოპოვების შეუძლებლობა), შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ საგამომძიებო მოქმედება განხორციელდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით.

ასევე სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიის მიერ დადგენილ პრაქტიკაზე, რომელშიც კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაცია გამოძიების მიერ მოპოვებულ უნდა იქნას ყველა შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე და 143¹⁰-ე მუხლების მიხედვით, მაგრამ როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაწყებულია ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, ვიდეო- ჩანაწერში არსებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ შეეხება კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტს, კანონი აძლევს საშუალებას გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-126-ე მუხლების მიხედვით მოიპოვოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ანუ ჩაატაროს დათვალიერება და დათვალიერდეს



ინფორმაციის შემცველი ობიექტი(საგანი). შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოძიებას უფლება ჰქონდა სსსკ-ის 125-ე 126-ე მუხლების მიხედვით საგამოძიებო მოქმედების დათვალიერების ჩატარებით მოეპოვებინა სს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია დათვალიერების ოქმის სახით (იხ.განჩინება)

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება გორის რაიონული სასამართლოს მსჯელობას და დამატებით მიუთითებს საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც: ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშე, რის შესახებაც მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით მოსამართლეს პროკურორმა უნდა აცნობოს საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგამოძიებო ორგანოს გააჩნია უფლებამოსილება ისეთი საგამოძიებო მოქმედება, როგორიცაა - ამოღება სასამართლო განჩინების გარეშე ჩაატაროს მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში და რა იგულისხმება გადაუდებელ აუცილებლობაში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი სსსკ-ი 112-ე მუხლის 1-ლ წინადადებაში. ჩვენს შემთხვევაში დადგენილია, რომ მოწმე არის ჟურნალისტი და სავარაუდო დაზარალებული, მას ვიდეოჩანაწერი გაკეთებული აქვს თავის პროფესიული მოწყობილობაში და ის უკვე იმყოფება საგამოძიებო ორგანოში სადაც გამოიკითხა მომხდარი ფაქტის შესახებ. ცხადია, რომ სადაო ვიდეოჩანაწერი მის ხელთაა და მისგან არ ყოფილა არანაირი მითითება, რომ ვინმე ემუქრება ვიდეოჩანაწერის წართმევით ან განადგურებით. ყველასათვის ცნობილია, რომ ვიდეოჩანაწერი ინახება იმდენ ხანს, სანამ მას არ წაშლიან შესაბამისი მოწყობილობიდან. საგამოძიებო კოლეგიას მიჩნია, რომ ამოღებული „DVD“ არის ჩვეულებრივი ვიდეოჩანაწერი. ყრადსაღებია ის ფაქტი, რომ ვიდეოჩანაწერები ამოღებული იქნა რადიო „თ.-ს ოფისში“, რომელიც მდებარეობს თ.-ში. ამ მოცემულობაში რა საფრთხე შეიძლებოდა დამუქრებოდა მტკიცებულებებს სასამართლოს განჩინებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემთხვევაში ბუნდოვანია.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჟურნალისტების მიერ მათი ოპერატორების მეშვეობით კონკრეტული სიუჟეტის გაკეთებისას შესრულებული ვიდეოჩანაწერი არ ითვლება პერსონალური მონაცემების შეგროვებად არ არღვევს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საგამოძიებო ორგანო ამ სახის



მტკიცებულების მოპოვებისას თავისუფალია და შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ მოიპოვოს იგი. საგამოძიებო კოლეგია არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოსაზრებებს, იმის თაობაზე, რომ პროფესიონალი ოპერატორის მიერ გაკეთებული არ არის კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაცია. ვინაიდან ღრმა ტექნიკურ ცოდნას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ვიდეოკამერას გააჩნია მეხსიერების ბარათი, რაზეც იწერება კონკრეტული ვითარება და შემდეგ ამ მეხსიერების ბარათიდან ის ყოველთვის ხდება კომპიუტერში (გარდა იმ ვითარებისა რომ იშლება ჩანაწერი) შემდგომი დამუშავების მიზნით.

საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 27-ე პუნქტის თანახმად კომპიუტერული სისტემა – ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი).

საგამოძიებო კოლეგიას მიჩნია, რომ პროფესიულ ვიდეოკამერას (და არამარტო) გააჩნია მიკროპროცესორი, რომელზეც შესაძლებელია ინფორმაციის შემცველი ვითარების ჩაწერა და შენახვა, შესაბამისად ის არის კომპიუტერული სისტემა.

საქართველოს სსსკ-ის 136-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს მხარეებს, რომ საგამოძიებო ორგანოებმა საკუთარი მოქმედებები კომპიუტერულ სისტემაში დაცულ მტკიცებულებებთან მიმართებაში, უნდა განახორციელონ ამ მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ საგამოძიებო მოქმედება -ინფორმაციის გამოთხოვაზე მოქმედებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების წესები, კერძოდ სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება ამ კოდექსის 143²–143¹⁰ მუხლების დებულებები.

საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ ეს ჩანაწერი ძალზედ მნიშვნელოვანი დებულებაა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როედესაც ამ კოდექსის 143²–143¹⁰ მუხლები მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ დანაშაულებზე აძლევენ შესაძლებლობას საგამოძიებო ორგანოს მოიპოვოს ამ სახის მტკიცებულება. კერძოდ სსსკ-ის 143³-ე მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ ამბობს, რომ გამოძიება დაწყებული უნდა იყოს ან სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა ხორციელდებოდეს განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო: 117-ე მუხლის პირველი ნაწილი, 134-ე მუხლი, 139-ე მუხლის



მე-2 ნაწილი, 140-ე და 141-ე მუხლები, 143-ე მუხლის პირველი ნაწილი, 143³ მუხლის პირველი ნაწილი, 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, 181-ე მუხლის პირველი ნაწილი, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 198-ე მუხლის პირველი ნაწილი, 210-ე მუხლის პირველი ნაწილი, 253-ე მუხლის პირველი ნაწილი, 255¹, 259⁴ და 284-ე მუხლები, 285-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე და 287-ე მუხლები, 288-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 289-ე, 290-ე და 292-ე-303-ე მუხლები, 304-ე მუხლის პირველი ნაწილი, 305-ე და 306-ე მუხლები, 318-ე მუხლის პირველი ნაწილი, 322¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 340-ე და 341-ე მუხლები;

როგორც ამ კლასიფიცირებული დანაშაულების ჩამონათვალიდან ირკვევა, ეს სავარაუდოდ დანაშაული, რომელზეც მიმდინარეობს გამოძიება ამ კატეგორიებში ვერ ჯდება, (ვინაიდან ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება) რაც ნიშნავს იმას, რომ ამ სახის მტკიცებულების მოპოვების უფლებამოსილება საგამომიებო ორგანოს არ გააჩნია. აღნიშნული შეზღუდვა კანონმდებლის მიერ დაწესებული იქნა პირადი ცხოვრების და პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის მაღალი სტანდარტების დაწესების პარალელურად და ამ კონტექსტს სააპელაციო სასამართლო ყურადღებას აქცევს. საპროცესო კანონმდებლობის განუხრელად დაცვასთან მიმართებაში თბილისის სააპელაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა დაცვის სტრასბურგის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე *Coeme and others v. belgium*, რომლის 102 პუნქტში სასამართლომ განმარტა, რომ „კანონმდებლობით დადგენილი წესების უარყოფამ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლოში, შეიძლება დაარღვიოს მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რადგან საქმის წარმოების მიზანია-დაიცვას ბრალდებული საგამომიებო ორგანოების მხრიდან უფლებამოსილებების გადამეტებისაგან და ამიტომ უმეტეს შემთხვევაში სწორედ დაცვის მხარის უფლებები იზღუდება ამ წესების უარყოფის ან გაურკვევლობის პირობებში...“ სააპელაციო სასამართლოს აზრით ყურადსაღები ფაქტია, რომ სტრასბურგის ევროპულ სასამართლოს ეს განმარტება გაკეთებული აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ ნაწილთან მიმართებაში, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლებას გულისხმობს. ამ მიდგომების გათვალისწინებით მკაცრად უნდა იქნეს დაცული სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები. თუმცა აქვე სააპელაციო სასამართლო გვერდს ვერ აუვლის გამოძიების ინტერესებს და იმ გარემოებას, რომ ამ კატეგორიის საქმეების გამოძიებისას ვიდუოსათვალთვლო კამერების ჩანაწერები შეიძლება შეიცავდნენ გამოძიებისათვის საინტერესო ინფორმაციებს. შესაბამისად რამენაირად უნდა მოხდეს გამოძიებისათვის ამ ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რაც შეიძლება გამოიხატოს ვიდუოჩანაწერის დათვალიერების ოქმის შედგენაში, რა თქმა უნდა იმ პირობებში თუ ამგვარი საგამომიებო მოქმედება არ დაემსგავსება ინფორმაციის გამოთხოვას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ საქართველოს სსსკ-ის 23-ე მუხლის მე-6 ნაწილი გამომძიებელს უფლებას აძლევს მოითხოვოს დოკუმენტების წარდგენა, (ვიდეოჩანაწერის) განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ზუსტად და ამომწურავად



ადგენს რა არის კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაცია და რა გზითაა შესაძლებელი მისი მოპოვება. სსსკ-ის 136-ე მუხლის 1-ლ ნაწილში სიტყვა „უფლებამოსლია“ საგამოძიებო ორგანოს მიერ არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს მას კანონმდებელი აძლევს ალტერნატივის შესაძლებლობას და თვითონ შეუძლია განსაზღვროს რა გზას მიმართოს ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისას. საგამოძიებო ორგანო ვალდებულია ამ მუხლის და 143²–143¹⁰ მუხლების დებულებების შესაბამისად მოიპოვოს კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაცია.

ამ გარემოებების გათვალისწინებით წარმოდგენილი საჩივარი დაუსაბუთებელია და ძალაში უნდა დარჩეს 2016 წლის 28 სექტემბრის გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გერმანე დადეშქელიანის განჩინება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების და მისი შედეგების უკანონოდ ცნობის შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3, მე-9, მე-20, 72-ე, 97-98-ე, 125-ე-126-ე, 136-ე, 219-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

პროკურორის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს:

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გერმანე დადეშქელიანის 2016 წლის 28 განჩინება - 2016 წლის 27 სექტემბერს შ. რ.-სგან გადაუდებელი უცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების- DVD დისკების ამოღების და მისი შედეგების უკანონოდ ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელი.

განჩინება გადაეცეს გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოს და მხარეებს;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე

სპარტაკ პავლიაშვილი